ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

# ლელო

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

12 ᲛᲐᲠᲢᲘ, ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 1988 Წ.
№ 50 (9717) ⊙ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐᲞ.

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1934 ᲬᲚᲘᲡ 13 ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ






ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ დამთავრდა ნორჩ ჰოკეისტთა რესპუბლიკური ტურნირი ალკკ ცენტრალური კომიტეტის კლუბის „ოქროს შაიბის" პრიზზე. პირველობა თბილისის „მზიურმა" მოიპოვა.

(მასალა ამ შეჯიბრების შესახებ გამოქვეყნდება „ლელოს" უახლოეს ნომერში).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲨᲘ

# ᲝᲠᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ

მოჭადრაკე ქალთა 44-ე რესპუბლიკური ჩემპიონატის ყოველი ტურის შემდეგ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება თითოეული პარტიის შედეგი და ამიტომაც ყოველი მონაწილე ცდილობს მთლიანად გამოავლინოს თავისი შესაძლებლობა და უნარი. მიუხედავად ამისა, ყაიმების რიცხვი სულ უფრო მატულობს. ამ მხრივ გამონაკლისი არც VII ტური იყო, რომელშიც II ტურის მსგავსად, 6 პარტია ყაიმით დამთავრდა.

თამილა მესხისა და გათამაშების ლიდერის ციალა ქასოშვილის შეხვედრაში სკანდინავიური დაცვის ერთ-ერთი რთული ვარიანტი გათამაშდა. პარტია თითქმის თანაბარ პოზიციაში მიმდინარეობდა. თეთრებმა ფიგურები მეტოქის მეფის ფრთაზე გადაისროლეს და პაიკებით შეტევა წამოიწყეს, მაგრამ ქასოშვილი ზუსტად თამაშობდა და მალე მეტოქენი დაზავდნენ.

კახიანი-თვაურის პარტიაში სხვადასხვა მხარეს გაკეთდა როქი. კახიანმა მცირე პოზიციური უპირატესობა მიიღო, თუმცა ეს მოგებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა და მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ.




ასევე ყაიმით დამთავრდა ტერელაძე-ნ. მელაშვილის პარტია.

დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია: ფახიროვა-ხარლამიდი — 1:0, ჩაიკოვსკაია-სადუნიშვილი — 1:0, ხურციძე-ხუგაშვილი — 0,5:0,5, კემულარია-ქ. მელაშვილი — 0,5:0,5, კახაბრიშვილი-ნიკოლაძე — 0,5:0,5.

გადატანილია ნინო გელავასა და მაია ხუციშვილის პარტია.

VIII ტურში დიდ ინტერესს იწვევდა ლიდერების, ციალა ქასოშვილისა და სოფიკო ტერელაძის შეხვედრა. დებიუტშივე უპირატესობას დაეუფლა ქასოშვილი, რომელიც კუთი და მხედრით შეიჭრა მეტოქის „ბანაკში", მაგრამ ტერელაძე ზუსტად თამაშობდა, გაცვალა ფიგურები და 46-ე სვლაზე მეტოქენი დაზავდნენ.

თვაური-ჩაიკოვსკაიას პარტიაში თეთრები დებიუტშივე დაეუფლნენ ინიციატივას. თვაურმა მხედრის ეფექტური მანევრით, შემდეგ კი პირველი ვერტიკალის გახსნით მეტოქეს არასასიამოვნო მუქარა შეუქმნა. თანდათანობით გაიცვალა ფიგურები და ენდშპილში თეთრებმა პაიკი მოიგეს. თვაურმა შეინარჩუნა ზედმეტი პაიკი და კიდევ ერთი ქულა ჩაიწერა თავის აქტივში.

ოსტატმა ქეთევან კახიანმა შავი ფიგურებით სძლია საერთაშორისო ოსტატ თამარ ხუგაშვილს და დაეწია ლიდერს.

გთავაზობთ დანარჩენი პარტიების ტექნიკურ შედეგებს:

ხარლამიდი-ხუციშვილი — 0:1, სადუნიშვილი-კემულარია — 1:0, ნიკოლაძე-გელავა — 0,5:0,5, ქ. მელაშვილი-კახაბრიშვილი — 0,5:0,5, ნ. მელაშვილი-ხურციძე — 0,5:0,5, ფახიროვა-მესხი — 0,5:0,5.

ამრიგად, 8 ტურის შემდეგ ტურნირს 6-6 ქულით ორი ოსტატი ჩაუდგა სათავეში — ციალა ქასოშვილი (გორი) და ქეთევან კახიანი (გარდაბანი). მათ კვალში მიჰყვებიან სოფიკო ტერელაძე (სამტრედია) — 5,5, იამზე თვაური — 5, ქეთევან მელაშვილი, ნინო მელაშვილი, ალა ჩაიკოვსკაია (ყველა — თბილისი), თამილა მესხი, ეკატერინე ფახიროვა (ორივე — ქუთაისი) — 4,5-4,5.

ᲕᲐᲡᲘᲚ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ.

## ᲑᲣᲠᲗᲘ, ᲙᲐᲚᲐᲗᲘ ᲓᲐ ᲘᲡᲔᲕ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲣᲑᲜᲔᲑᲘ



18 მარტს კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის ინიციატივით კიდევ ერთ სპორტულ შეჯიბრებას ჩაეყრება საფუძველი. კიროვის პარკის კალათბურთის სტადიონზე ჩატარდება თბილისის უბნების პირველი ჩემპიონატი კალათბურთში კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის პრიზზე.

შეჯიბრების დროს კალათბურთის გარდა თქვენ იხილავთ სპორტული მოდების ჩვენებას, იმუშავებს ვიდეოსალონი, მატჩებს შორის შესვენების დროს კი გაიმართება ნორჩ კალათბურთელთა საჩვენებელი გამოსვლები. დასაწყისი 18 საათზე.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲔᲚᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲗᲐᲝᲡᲜᲝᲑᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ — ᲛᲝᲭᲘᲓᲐᲕᲔᲗᲐᲒᲐᲜ ᲔᲡᲢᲐᲤᲔᲢᲐ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲛᲐ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲛᲘᲘᲚᲔᲡ. ᲒᲣᲠᲐᲛ ᲜᲘᲨᲜᲘᲐᲜᲘᲫᲔ ᲓᲐ ᲘᲣᲖᲐ ᲚᲝᲡᲐᲑᲔᲠᲘᲫᲔ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ ᲛᲔᲖᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲨᲔᲛᲓᲒᲐᲠᲘ ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲞᲐᲔᲥᲠᲝᲓ ᲘᲬᲕᲔᲕᲔᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲗ ᲛᲔᲖᲝᲑᲚᲔᲑᲡ.

ᲘᲮ. ᲛᲔ-2 ᲒᲕ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲪᲘᲠᲙᲘᲡ ᲐᲠᲔᲜᲐ ᲐᲛ ᲨᲐᲑᲐᲗᲡ 12 ᲡᲐᲐᲗᲘᲓᲐᲜ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲣᲚᲔᲑᲡ ᲓᲐᲔᲗᲛᲝᲑᲐᲗ — ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲘᲖᲖᲔ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘᲡ ᲣᲑᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐᲨᲘ.

ᲨᲐᲑᲐᲗᲡ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ ᲮᲕᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲘ: ᲬᲘᲚᲙᲐᲜᲘ (ᲛᲪᲮᲔᲗᲐ) — ᲢᲘᲑᲐᲐᲜᲘ (ᲡᲘᲦᲜᲐᲦᲘ), ᲤᲪᲐ (ᲥᲐᲠᲔᲚᲘ) — ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲬᲛᲘᲜᲓᲐ (ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝ), ᲒᲝᲠᲘ — ᲬᲧᲜᲔᲗᲘ.



ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სპორტულ კომპლექსში გაიმართა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ჩემპიონატი და პირველობა აკრობატიკაში. საინტერესო პროგრამით გამოვიდა და პირველი ადგილი დაიკავა თბილისელთა ოთხეულმა (ემზარ აბუაშვილი, დიმიტრი კარტოზია, ვაჟა არაყიშვილი და ნიკოლოზ მჭედლიძე), რომელსაც სურათზე ხედავთ. წერილი ამ ასპარეზობის შესახებ იხილეთ მე-2 გვერდზე.

## ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲨᲘ

**ᲒᲣᲨᲘᲜ** თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა სსრ კავშირის 51-ე საფეხბურთო ჩემპიონატის II ტურის მატჩი ადგილობრივ და მინსკელ დინამოელთა შორის.

**თამაში დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით — 2:1.**

* * *

10 მარტს მოსკოვის „ოლიმპიურის" მანეჟში შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის I ტურის ბოლო მატჩი ადგილობრივ „დინამოსა" და ლენინგრადის „ზენიტს" შორის. გაიმარჯვეს დინამოელებმა — 3:2.



ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲡ ესტუმრა ინდოეთის მთავრობის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრი ქალბატონი მარგარეტ ალვა, რომელსაც თან ახლდა ინდოეთის საელჩოს მრჩეველი სსრ კავშირში აიარა.

სტუმარმა დაათვალიერა ქალაქის ღირსშესანიშნაობანი, ეწვია აგრეთვე ჭადრაკის სასახლეს და ლენინური კომკავშირის სახელობის ცენტრალურ საწყლოსნო კომპლექსს.

ს უ რ ა თ ზ ე: ინდოელი სტუმრები ჭადრაკის სასახლეში.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

## ᲘᲛᲔᲓᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲞᲔᲠᲬᲙᲐᲚᲘ

სოხუმში ჩატარდა ველოსიპედისტთა საკავშირო შეჯიბრება აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრიზზე. ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღო ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა უძლიერესმა სპორტსმენმა, მათ შორის მსოფლიოს ჩემპიონებმა, საერთაშორისო ველორბოლებში გამარჯვებულებმა, სსრ კავშირის ნაკრების წევრობის კანდიდატებმა, საგზატკეცილო ველოსპორტის 300-მდე კვალიფიციურმა ოსტატმა.

განსაკუთრებით საინტერესო ბრძოლა გაჩაღდა ჯგუფურ რბოლაში 220 კილომეტრზე. სტარტიდან სულ მალე ჯგუფს გამოეყო რვა ველოსიპედისტი. მათ შორის იყო პროფკავშირების სპორტსაზოგადოების წარმომადგენელი, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი ბაჩუკი ხორგუანი.

თავდაპირველად წინ გაჭრილებისათვის დიდი ყურადღება არც მიუქცევიათ. მაგრამ ჯგუფი საკმაოდ კომპაქტური და ენერგიული აღმოჩნდა. დაწინაურებულებმა ბოლომდე შეინარჩუნეს უპირატესობა და ბოლოს, საფინიშო აღმართზე, ერთმანეთს შორის გაითამაშეს პირველობა.

ამ „სპრინტერულ" დავაში ყველას მსოფლიოს ჩემპიონმა, ხარკოველმა ალექსანდრე ზინოვიევმა აჯობა. მისი წარმატება ალბათ ლოგიკური იყო. გამარჯვებულს სულ მცირედით ჩამორჩა ბაჩუკი ხორგუანი — იგი ფინიშთან მეორე მიიჭრა. მესამე ადგილი საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრს, ლიტველ ოლეგ ოგოროდნიკოვს ხვდა.

ჩვენი რესპუბლიკიდან რბოლაში 12 ველოსიპედისტი მონაწილეობდა. მათ ყველამ ფინიშის ხაზი ძირითად ჯგუფთან ერთად გადაკვეთეს.

ოლიმპიური წელი არ არის მხოლოდ ოლიმპიელებისთვის, თუმცა სეულის მომავალი სტარტები დღეს საერთო ყურადღების ცენტრშია. ჩვენ, მაგალითად, ოლიმპიადაზე არანაკლებ გვაინტერესებს ჭაბუკთა მომავალი თამაშები და მასში რესპუბლიკის სპორტსმენთა მონაწილეობა, ამიტომ სოხუმის სტარტებს განსაკუთრებული ყურადღებით ვადევნებდით თვალს.

ბაჩუკი ხორგუანის წარმატება ურთულეს დისტანციაზე იმედის პირველი ნაპერწკალია, ვინაიდან მას სწორედ ჭაბუკთა თამაშებში მოუწევს გამოსვლა. გარკვეულ იმედებს ვამყარებთ, აგრეთვე ვასილ დავიდენკოზე, გარი კეხბაზე, ვიტალი მუშკუდიანსა და რომან სავიცკიზე (ყველანი — პროფკავშირების სპორტსაზოგადოება). ისინიც თამაშების მონაწილენი უნდა იყვნენ. ამ ოთხეულმა მთელი რბოლის მანძილზე შესძლო შეენარჩუნებია ადგილი ჯგუფში, რაც უდავოდ წარმატებად უნდა მოვიჩნიოთ. სტარტზე გამოვიდა დინამოელი მიხეილ ჩევარდოვიც, რომელსაც საბოლოოდ მე-16 ადგილი ხვდა.




აგვიყოლიეთ, ჩემპიონებო!

# სამეზობლო ესტაფეტა: მეორე რაუნდი

ამ რუბრიკით ჩვენს გაზეთში უკვე დაიბეჭდა პირველი რეპორტაჟი. პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების ქუთაისის საქალაქო საბჭოს (თავმჯდომარე თემურ ერემეიშვილი) და ქუთაისში „ლელოს" საკორესპონდენტო პუნქტის თაოსნობით ჩატარდა სახელოვანი ქართველი ფალავნების თეიმურაზ აფხაზავას და ესტატე გოგლიჩიძის უბნელთა სპორტული „დუელი".

მეზობელთა ამ საინტერესო, ხალისიანმა შეჯიბრებამ დიდი ინტერესი გამოიწვია. ქუთაისში აშკარად იმატა უქმე დღეებში აქტიური დასვენების მსურველთა რიცხვმა. შეიძლება ითქვას, რომ პირველმა პაექრობამ ტრადიციას ჩაუყარა საფუძველი — ამ შეჯიბრებას ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა, სამეზობლო პაექრობის ესტაფეტა სხვებმაც აიტაცეს.

ფეხბურთის მრავალ გულშემატკივარს დღესაც ახსოვს ქუთაისის „ტორპედოს" სახელოვანი კაპიტნები გურამ ნიშნიანიძე და იუზა ლოსაბერიძე. ისინი ტორპედოელთა იმ თაობების ღირსეული წარმომადგენლები არიან, რომელთა დროსაც გუნდი ვაჟკაცურად ასპარეზობდა უმაღლეს ლიგაში, როცა „ტორპედოს" მატიანეში ყველაზე საამაყო ფურცლები იწერებოდა.

ნამდვილი სპორტსმენები „თადარიგშიც" ნაღდ სპორტსმენებად დარჩნენ. ეს მათი მეზობლების პაექრობამაც დაამტკიცა, რომელიც ახლახან მოეწყო ქუთაისის სპორტკომბინატის დარბაზში.

სარბიელზე კვლავ ვიხილეთ კაპიტნის სამკლაურით ხელდამშვენებული ქუთათურთა საყვარელი ფეხბურთელები გურამ ნიშნიანიძე და იუზა ლოსაბერიძე. დარბაზში ბევრი გულშემატკივარი შეიკრიბა და აბა, ასეთ დროს თავს ვინ შეირცხვენდა...

ლომებს ბრჭყალები რომ არ უცვდებათ, პირველივე სახეობაში — მინიფეხბურთში გამართულმა შეჯიბრებამ დაგვარწმუნა. ვეტერანები თავიანთი გუნდების ლიდერები იყვნენ.... ამ შეუპოვარი მატჩის პირველი ტაიმი თითქოს ფრედ უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ გურამმა ოსტატური კომბინაცია გაითამაშა თანაგუნდელებთან, ძალზე ეფექტური ბურთი გაიტანა და ახალგაზრდებს, რომლებსაც მისი თამაში არ უნახავთ, ცხადად დაანახა, რა ძლიერი იყო ქუთაისელთა გუნდის კაპიტანი ნიშნიანიძე. მისი „ნეიტრალიზება" ვერც მეორე ტაიმში შეძლეს და ანგარიშიც ბალახვნელების სასარგებლოდ იზრდებოდა. მართალია, იუზა ლოსაბერიძემ მთელი ძალების მობილიზებით შეძლო უმაღლეს ლიგაში გატანილი ერთადერთი ბურთისათვის (1965 წელს მან კიევის დინამოელებს, როგორც იტყვიან, ოქროს მედლები მკერდიდან „ჩამოხსნა" და მოსკოველ ავტოქარხნელებს „აჩუქა") მეორის მიმატება, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა. „ნიშნიანიძელებმა" დამაჯერებლად გაიმარჯვეს — 5:1.

სულ მალე რევანშის დროც დადგა. მეორე სახეობაში — ხელის გადაწევაში იუზას უკანდასახევი გზა აღარ ჰქონდა და ყოველგვარი „ჩაწყობის" გარეშე „მეტოქეს" მარჯვენა მაგიდაზე დაადებინა. მომდევნო სახეობებში (ბაგირის გადაძალვასა თუ სიმძიმეების აწევაში, ბურთის მიზანში სროლასა თუ ტანჯს აზიდვაში, ზურგჩანთით რბენასა თუ კომბინირებულ ესტაფეტაში) გამარჯვების სასწორი ხან ერთ, ხან მეორე მხარეს იხრებოდა, ისე, როგორც



„ნამდვილ" შეჯიბრებას შეეფერება. იყო პროტესტი, სტვენა და, რა თქმა უნდა, ოვაციებიც, უფრო მეტად — გურამ ნიშნიანიძის გუნდის მისამართით. მცირე სხვაობით (15:13) მათ მაინც გაიმარჯვეს, მაგრამ თავს წაგებულად არც ლოსაბერიძის მეზობლები თვლიდნენ...

— აგერ, მაისიც მოვა, ბატონო და მწვანე მინდორზე რომ გავალთ, მაშინ, ვნახოთ, ვინ ვისო, — დაიქადნეს მათ.

ჩვენ კი გადავწყვიტეთ გავსაუბრებოდით კაპიტნებს.

**გურამ ნიშნიანიძე:** რომ გითხრათ, დღეს ბედნიერი ვარ-მეთქი, ვალისმოხდის მიზნით ნათქვამივით გამომივა, არადა, მართლაც უაღრესად კმაყოფილი ვარ. არც ველოდი, თუ ეს პაექრობა მე და ჩემს მეზობლებს ასეთ სიხარულს, სიხალისეს მოგვანიჭებდა. მადლობის მეტი რა მეთქმის ორგანიზატორებისა და ჩემი უბნელების მიმართ, რომლებმაც გამარჯვების სიხარული კიდევ ერთხელ განმაცდევინეს. მერე რა, რომ შეჯიბრება პატარა იყო — სიხარული სიხარულია. იუზას ამბავი ვიცი, ამ დამარცხებას ვერ შეეგუება, ივარჯიშებს და კიდევ ერთხელ გამომიწვევს, მაგრამ სუფრასთან ჯდომას არც ჩვენ ვაპირებთ...

**იუზა ლოსაბერიძე:** ბევრი ვარჯიშიც არ ვარგა — მე და ჩემმა მეზობლებმა იმდენი ვირბინეთ და თეორიაშიც ვივარჯიშეთ (ლამის საწვრთნელი შეკრებაც კი მოვაწყვეთ), რომ ცოტა „გადავიწვით" კიდეც. ეს რომ არა, დღეს ჩემი უბნის მომგები გუნდი არ მეგულება. ჩვენს მეტოქეებს გულით ვულოცავ გამარჯვებას, წარმატებას ვუსურვებ და როგორც ჩემპიონებს, მეგობრულ, უალკოჰოლო სადილზე ვიწვევთ...

**ორივე კაპიტნის შეთანხმებული ბოლოთქმა:** დიდ ფეხბურთში ბევრი მეგობარი შევიძინეთ, რომლებიც ახლა ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში ცხოვრობენ. ვიცით, ბევრს ენატრება ერთმანეთი, მაგრამ ახლა მხოლოდ იმ ძველ, უკვე ლეგენდად ქცეულ ამბებს იხსენებენ. ჩვენც გვენატრებით, ბიჭებო, ქართული ფეხბურთის ვეტერანებო!

**ამიტომ ყველას, ვისაც გსურთ, მეზობლებთან ერთად ქუთაისში სპორტულ პაექრობაზე გიწვევთ. ჩვენ მზად ვართ, პროფკავშირული საზოგადოების აქაური ხელმძღვანელებიც ყოველგვარ დახმარებას გვპირდებიან.**

მიშა, სლავა, გიორგი, რამაზ, სერგო... გელით! დაე, თბილისელებმა თუ სხვა ქალაქების წარმომადგენლებმა ჩვენი კარის მეზობლები გაიცნონ. რაც უფრო მეტად დავმეგობრდებით, მით უფრო ძლიერნი ვიქნებით.

**თამაზ ხარაბაძე,**
**„ლელოს" საკ. კორ.**
**ქუთაისი.**



**საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების პირველობა და ჩემპიონატი აკრობატიკაში**

# მსოფლიო ჩემპიონების გარემოცვაში

**8 სპორტის დამსახურებული ოსტატი, 18 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, 87 სპორტის ოსტატი მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების პირველობასა და ჩემპიონატში, რომელიც თბილისში, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სპორტული კლუბის სპორტულ კომპლექსში გაიმართა. სარბიელზე გამოვიდა 18 მსოფლიოს და 2 ევროპის ჩემპიონი.**

მონაწილეთა შორის ბევრი იყო ქვეყნის ჩემპიონი თუ საკავშირო პირველობათა პრიზიორი. თავიდანვე უნდა ვთქვათ, რომ ასეთ პრესტიჟულ შეჯიბრებაში, რომელიც მოასპარეზეთა სიძლიერით მხოლოდ ქვეყნის ჩემპიონატს თუ ჩამოუვარდებოდა, ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთა გამოსვლამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა (საქართველოს აკრობატები ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ღირსებას იცავდნენ). განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ალექსანდრე მავრანგელოვის ოთხეული — საბჭოთა კავშირის თასის შარშანდელი მფლობელი, თბილისელი აკრობატები ემზარ აბუაშვილი, დიმიტრი კარტოზია, ვაჟა არაყიშვილი და ნიკოლოზ მჭედლიძე. მათ ბრძოლა მოუხდათ ორ უძლიერეს ოთხეულთან. თბილისელი აკრობატები ახალი, გართულებული პროგრამით გამოვიდნენ. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო მათ მიერ უზადოდ, ძალზე ეფექტურად შესრულებული გამართული ორმაგი მალაყი ხელებში. მთავარი კი ისაა, რომ ჩვენი ოთხეულის ყველა გამოსვლა სტაბილური და საიმედო იყო. მათ არც ერთ ვარჯიშში ცხრაზე ნაკლები ქულა არ მიუღიათ და თითქმის მთელი ქულით გაუსწრეს მეორე ადგილზე გასულ მსოფლიო ჩემპიონებს — ვიქტორ კურალესოვს, ვლადიმერ სიმონოვს, ვიქტორ ბისტროვს და კარიმ იზმაილოვს. მესამე ადგილზე გავიდნენ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონები: ვლადიმერ პონომარენკო, ალექსანდრე ლეონტიევი, ალექსეი სუპონია და კონსტანტინე მამინი (ორივე ოთხეული საბჭოთა ჯარების ცენტრალური ჯგუფის ღირსებას იცავდა).

ასევე წარმატებით გამოვიდა პირველობის პროგრამით ალექსანდრე მავრანგელოვის მეორე ოთხეული — ვილი ვართანოვი, აფანასი



ანგა გიორგობიანი, ნატალია ანისიმოვა და სვეტლანა მაკარიჩევა.

იანაკოევი, იოსებ თუთბერიძე და სტანისლავ პეტროვი (პირველობაში მხოლოდ ჭაბუკები მონაწილეობდნენ). ჩვენს ოთხეულს მეტოქე არ ჰყავდა და, ცხადია, პირველ ადგილს ვერავინ შეეცილებოდა. მთავარი ის იყო, რომ მისი შესრულებული ყველა ვარჯიში მაღალი ქულებით შეფასდა.

დიდი ინტერესით ველოდით ცნობილი მწვრთნელის, ხუთი მსოფლიო ჩემპიონის აღმზრდელის ვლადიმერ გურგენიძის შეგირდების — ინგა გიორგობიანის, ნატალია ანისიმოვას და სვეტლანა მაკარიჩევას გამოსვლას. მათი შესრულების მოხდენილი სტილი და მანერა ყოველთვის მოწონებას იმსახურებს, მაშინაც კი, როცა რომელიმე ელემენტი არ გამოსდით. ამჯერად გოგონებმა მართლაც უზადოდ შეასრულეს პროგრამა. მათ მთელი ექვსი ქულით გაუსწრეს მეორე ადგილზე გასულ ომსკის აკრობატებს — სვეტლანა ბუტაკოვას, იულია მასლაკოვას, ლარისა გუსაროვას სამეულს (41,26 ქულა).

პირველობაზე გოგონათა ჯგუფურ ვარჯიშში ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ღირსებას იცავდნენ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატ ნინო ბერიანიძის შეგირდები: ნინო პატარიძე, დები მანანა და თამილა მორბედაძეები. გოგონებმა ნამდვილი, მოწიფული ოსტატებივით გაართვეს თავი პროგრამას და პირველი ადგილი მოიპოვეს. მათი გამოსვლა ასე შეფასდა: 9,46, 9,43, 9,4, 9,26, 8,7. ამ შედეგით ისინი 5 ქულით გაუსწრებდნენ ჩემპიონატში მეორე ადგილზე გასულ ომსკელთა სამეულს...

ვაჟთა ხტომებში ჩემპიონობისთვის ბრძოლა თავიდანვე საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატებს, მსოფლიო ჩემპიონ სერგეი პოგიბას (კრასნოდარიდან), ჯონდო მარიდაშვილსა და ევგენი ივანოვს (მოსკოვის სამხედრო ოლქი) შორის წარიმართა. სავალდებულო პროგრამის შემდეგ დაწინაურდა მოსკოველი აკრობატი. მეორე ადგილზე ჯონდო მარიდაშვილი იყო, მესამეზე — მსოფლიო ჩემპიონი. ნებისმიერი პროგრამის შემდეგ სერგეი პოგიბამ დანაკლისი აინაზღაურა. ჯონდო კვლავ იმავე პოზიციაზე დარჩა. ფინალური ნახტომისთვის ჯონდო საგულდაგულოდ მოემზადა. მან კარგი ტემპით შეასრულა მალაყების კასკადი, მაგრამ დაშვება ვერ მოზომა, უხერხულად დაეცა და მძიმედ დაშავდა. ჩემპიონობა სერგეი პოგიბამ მოიპოვა. ჯონდო მარიდაშვილი მეოთხე ადგილზე გავიდა.

ქალთა ხტომებში ყველას აჯობა მოსკოვის ოლქის წარმომადგენელმა სვეტლანა კიბანოვამ (44,05).

შერეულ წყვილებში მსოფლიო ჩემპიონებმა, ცოლ-ქმარმა სვეტლანა და ევგენი მახალიჩევებმა (ლენინგრადის სამხედრო ოლქი) პირველი ადგილი დაუთმეს თანაგუნდელებს ალექსეი პუსტოვალოვსა და ირინა გრადოვას (48,85).

ძალისმიერ წყვილთა შეჯიბრებაში მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდნენ მსოფლიო ჩემპიონები სერგეი ჩიჟევსკი და ვალერი ლიაპუნოვი (საბჭოთა ჯარების ცენტრალური ჯგუფი) — 47,8.

ქალთა წყვილებში (47,02 ქულით) გაიმარჯვეს ელენა შელკოპლიაროვამ და ალფია ალიმოვამ (მოსკოვის ოლქი).

ჩვენი ყველა გამარჯვებული სპორტსმენი აკრობატიკის რესპუბლიკური სკოლის აღზრდილია (დირექტორი მიხეილ გეგელია).

საინტერესოა, რომ ამ პერიოდში არახელსაყრელი სავარჯიშო პირობების გამო, როგორც წესი, ჩვენი აკრობატები სათანადო სპორტულ ფორმაში არ არიან ხოლმე. როგორც ჩანს, ეს „ტრადიცია" დაირღვა. ეს კი იმედს გვაძლევს, რომ სპორტსმენები წარმატებით გააგრძელებენ აღებულ სტარტს. ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოცდა მათ სულ მალე ელით: 16-22 მარტს ნიკოლაევში გაიმართება საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი უწყებათა შორის.

**ჯემალ კასრაძე.**

## მოკლედ

### ზუგდიდი

ქალთა საერთაშორისო დღეს 8 მარტს მიეძღვნა ზუგდიდში ჩატარებული შეჯიბრებები ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკსა და შაშში, რომელიც ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის გაიმართა.

7 მარტს ქალაქში მძლეოსნური გარბენები მოეწყო 200, 400, 600, 800, 1000-მეტრიან დისტანციებზე. სარბიელზე გამოვიდნენ წარმოება-დაწესებულებების, საშუალო სკოლების, სპორტკლუბ „ენგურის" წარმომადგენლები. სულ 320 გოგონა.

200 მეტრზე უძლიერესი იყო მანანა ასათიანი, 400 მეტრზე — ნინო ლასხია (ორივე — მე-2 სკოლა), 600 — ირინა პამფილოვა (სპორტკლუბი „ენგური"), 800 — მადონა გერგედავა (მე-4 სკოლა), 1000 — ოქსანა გუტაკოვა (სპორტკლუბი „ენგური").

**ნუგზარ ჟვანია,**
**„ლელოს" კორ.**

• • •

### ონი

სარაიონო შეჯიბრებაზე მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლაში მოსწავლეთა შორის პირველი ადგილი დაიკავა მ. ბურდილაძემ, მომდევნო ადგილი — ს. მეტრეველმა, მესამე — ჯ. ბიჭაშვილმა.

წარმოება-დაწესებულებათა წარმომადგენლებს შორის პირველ ადგილზე გავიდა ნ. სხიერელი (საქართველოს ალკკ ონის რაიკომი), მეორეზე — გლოლელი ა. ბერიშვილი, მესამეზე — ავტოსატრანსპორტო საწარმოს წარმომადგენელი ნ. მეტრეველი.

**ნესტორ დუშუაშვილი.**
**„ლელოს" კორ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

## უმაღლესი ლიგა

### სტატისტიკოსის ბლოკნოტში

**დაიწყო სსრ კავშირის 1988 წლის ჩემპიონატი ფეხბურთში, 7-10 მარტს უმაღლესი ლიგის გუნდებმა გამართეს პირველი ტურის კალენდარული მატჩები.**

„სპარტაკი" — „ქაირათი" 2:0 (2:0). ბურთები გაიტანეს პასულკომ და ხიდიატულინმა.

დუბლიორები — 6:0.

„ლოკომოტივი" — „ნეფთჩი" 1:0 (0:0). ბურთი გაიტანა რუსიაევმა.

გააფრთხილეს ლოკომოტიველი ფეხბურთელები გალაკბეროვი და სოლოვცოვი.

დუბლიორთა მატჩი არ შემდგარა.

„შახტიორი" — „მეტალისტი" 3:0 (2:0). ბურთები გაიტანეს სმოლიანინოვმა, დრაგუნოვმა (პენალტი) და გერასიმეცმა.

გააფრთხილეს „მეტალისტის" მოთამაშე დერკაჩი.

დუბლიორები — 2:0.

„ჩერნომორეცი" — „ტორპედო" 0:2 (0:1). გოლები: გრეჩნევი (პენალტი), ერიომენკო.

გააფრთხილეს ტორპედოელი ი. ჩავიჩევი.

დუბლიორები — 0:1.

„დნეპრი" — „დინამო" (კიევი) 0:0.

დუბლიორები — 2:3.

„დინამო" (მოსკოვი) — „ზენიტი" 3:2 (3:0). დინამოელთაგან ორი ბურთი გაიტანა ბოროდიუკმა, ერთი — დობროვოლსკიმ, ხოლო სტუმართაგან — დმიტრიევმა და ჩუხლოვმა.

დუბლიოები — 5:1.

⊙ **51-ე** ჩემპიონატის პირველ ტურში ფრედ დამთავრდა ერთი შეხვედრა, 6 მატჩი მოიგეს მასპინძლებმა, ერთი — სტუმრებმა.

⊙ **ჩემპიონატის** პირველი გოლი გაიტანა ვილნიუსელმა ა. ნარბეკოვასმა.

⊙ **დიდი** ანგარიშით მოგება პირველმა ჩაიწერა დონეცკის „შახტიორმა", ხოლო თბილისის „დინამომ" გამარჯვებისადმი სწრაფვის პრიზისთვის ბრძოლაში მიიღო პირველი ქულა.

⊙ **სულ** პირველ ტურში გაიტანეს 16 ბურთი, აქედან 11 — მასპინძლებმა, უკვე გვყავს უმაღლესი ლიგის საუკეთესო ბომბარდირიც — მოსკოვის დინამოელი ბოროდიუკი.

⊙ **ტურის** 7 მატჩში დაინიშნა სამი 11-მეტრიანი, სამივე დარტყმა ზუსტად გამოიყენეს ტორპედოელმა გრეჩნევმა, თბილისელმა გურულმა და დონეცკელმა დრაგუნოვმა.

⊙ **ხუთმა** ფეხბურთელმა ყვითელი ბარათი დაიმსახურა.

* * *

### დუბლიორთა მატჩი

**10 მარტს** დინამოელთა საწვრთნელ ბაზაზე დიღომში შედგა დუბლიორ ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის კალენდარული მატჩი, თბილისელ დინამოელებმა მინსკელ თანაკლუბელებს უმასპინძლეს.

თამაში დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 2:1. თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს გ. ჯიშკარიანმა და ზ. რევიშვილმა. დინამოელთა შემადგენლობა: ჭანტურია, თეთრაძე (დემეტრაშვილი), თარბა, ცხადაძე, არზიანი, რევიშვილი, თედეევი, გ. ჯიშკარიანი, მ. ჯიშკარიანი, ხარჩილავა (პეტრიაშვილი), ყიზილაშვილი.

# ნდობა

**თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივმა კვლავ მიიღო თავის რიგებში მ. აფციაური**

ცხოვრება ზოგჯერ ძალიან წინ წამოსწევს ხოლმე ახალგაზრდა კაცს, შეიძლება ითქვას, ჯერ სრულიად ყმაწვილს. ასეთ დროს დიდი გონიერებაა საჭირო, რომ უმწიფარი კაცი ცდუნებას არ აჰყვეს, თანატოლებისგან ესოდენ თვალსაჩინოდ გამორჩევა მისთვის ამბიციად და დამღუპველ ძალად არ იქცეს. იგივე ითქმის ახალგაზრდა სპორტსმენებზე, მით უფრო — ნიჭიერ ფეხბურთელებზე, რომლებიც კერპად ჰყავთ აღიარებული გულშემატკივრებს და იმედით შეჰყურებენ.

თათბირზე, რომელიც გუშინწინ თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივის დიღმის საწვრთნელ ბაზაზე გაიმართა, გუნდის ხელმძღვანელებმა ბევრი კონკრეტული ფაქტი დაასახელეს, როცა ახალგაზრდა ფეხბურთელებს სწორად ვერ შეუფასებიათ თავიანთი როლი საზოგადოებაში, არაფრად ჩაუგდიათ რჩევა-დარიგება, საბოლოოდ კი ფეხბურთსაც ჩამოშორებიან და ცხოვრების გზაც გამრუდებიათ. ეს კიდევ ერთხელ შეახსენეს „დინამოს" ახალგაზრდა ფეხბურთელებს. იქვე ითქვა, რომ... დინამოელთა კოლექტივს კვლავ უბრუნდება მამუკა აფციაური.

ჯერ ილაპარაკა გუნდის უფროსმა მწვრთნელმა გ. ზონინმა. შემდეგ სიტყვა აიღეს გუნდის უფროსმა ვ. გუცაევმა, მწვრთნელმა შ. ჰეიშვილმა, ვეტერანმა ფეხბურთელებმა, გუნდის კაპიტანმა თ. სულაქველიძემ და ო. გაბელიამ. ერთხელ კიდევ მისცეს შესაძლებლობა 18 წლის ახალგაზრდა კაცს დაამტკიცოს, რომ კრიტიკული დასკვნები გამოიტანა წარსულიდან. მ. აფციაურმა პირობა მისცა კოლექტივს, გუნდის ხელმძღვანელებს, რომ ყველაფერი კარგად შეიგნო, უყოყმანოდ შეასრულებს ხელმძღვანელობის მითითებას, ყველაფერს გააკეთებს, რათა ღირსეულად ატაროს დინამოელის მაისური, სარგებლობა მოუტანოს კოლექტივს, რომელმაც ასეთი ნდობა გამოუცხადა და თავდებად დაუდგა.

არ დავმალავთ, აფციაურის ბედი ბევრს აინტერესებდა, რედაქციაშიც მოდიოდა წერილები, სპორტის ხელმძღვანელობამაც ბევრი იზრუნა — გუნდიდან წასვლის შემდეგ აფციაური ბედის ანაბარა არ ყოფილა მიტოვებული. ამ ფეხბურთელზე შეფობა აიღო ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორმა, პროფესორმა ო. გოგიაშვილმა და ხანგრძლივი, სერიოზული მუშაობაც გასწია.

კრებაზე მ. აფციაურს კარგად უთხრა თ. სულაქველიძემ: „გახსოვდეს ნდობას გიცხადებენ და შესანიშნავი შესაძლებლობა გეძლევა აღიდგინო ავტორიტეტი. მაგრამ ესეც იცოდე: მთავარი „დინამოში" დაბრუნება არ არის, მთავარია ითამაშო. უნდა შეიცვალო საქმისადმი დამოკიდებულება".

გასული წლის 20 სექტემბერს „ლელომ" აფციაურის საქციელისა და „დინამოდან" მისი გარიცხვის შესახებ გამოქვეყნებული წერილი ასე დაასრულა: „ძნელია, ძალზე ძნელია, როცა ახალგაზრდა კაცი ასეთ სიტუაციაში აღმოჩნდება, მაგრამ სხვა გზაც რომ არ არის? ერთი კია: აფციაური „დინამოდან" გაირიცხა, თორემ ფეხბურთისგან არავის გაურიყავს. შეცდომების გამოსწორება და ცხოვრების თავიდან დაწყება კიდევ შეიძლება".

გვინდა ვირწმუნოთ, რომ მამუკა აფციაური არა მარტო თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა კოლექტივს, და, საერთოდ ქართულ ფეხბურთს, არამედ ცხოვრებას დაუბრუნდა.

### ტურნირი მინიფეხბურთში

**11 მარტს** მოსკოვის ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტულ კომპლექსში სტარტი აიღო საკავშირო ტურნირმა მინიფეხბურთში, შეჯიბრების ორგანიზატორები არიან საკავშირო პროფსაბჭო და გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" რედაქცია.

საკავშირო შეჯიბრებაში მონაწილეობს 20 საფეხბურთო კოლექტივი. ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას თბილისის „დინამოს" გულშემატკივართა გუნდი დაიცავს, რომელიც წლევანდელი რესპუბლიკური მინიფეხბურთის ტურნირის ჩემპიონის „ვერისა" და ვერცხლის პრიზიორის „საბურთალოს" წევრთა ბაზაზეა შექმნილი.

კარგად დაიწყეს შეჯიბრება ჩვენმა ფეხბურთელებმა. ქვეჯგუფის პირველ მატჩში მათ ლენინგრადის გუნდს სძლიეს — 2:1.. ბურთები გაიტანეს ქავთარაძემ და ოჩერაშვილმა. გუშინვე გაიმართა ქვეჯგუფის მეორე შეხვედრა, თბილისელებმა ოდესელები დაამარცხეს — 1:0. ბურთი ამ მატჩში ომიაძემ გაიტანა.

ამ ორი გამარჯვებით თბილისის გუნდი გათამაშების შემდგომ ეტაპზე გავიდა.

### კიევის „დინამო" — საფეხბურთო კლუბი

**სსრ კავშირის** საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგ მატჩში კიევის „დინამო", შესაძლოა, მინდორზე საფეხბურთო კლუბის რანგში გამოვიდეს. როგორც საკდესის კორესპონდენტს შეატყობინეს, სპორტსაზოგადოება „დინამოს" ცენტრალურმა საბჭომ განიხილა უკრაინის „დინამოს" ორგანიზაციის ფინანსური საქმიანობის საკითხები და დამატებით ღონისძიებებს მიმართა რესპუბლიკური საბჭოს ძირითად მიმართულებათა განმტკიცებისთვის, მათ შორის მოიწონა ექსპერიმენტის სახით შეიქმნას კიევის „დინამოს" საფეხბურთო კლუბი.

კლუბის ყოველდღიური საქმიანობა წარიმართება სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების საფუძველზე, იგი მეურვეობას გაუწევს ნორჩ ფეხბურთელთა სპეციალიზებულ სკოლას, კიევის „დინამოს" სტადიონს და სხვა სასწავლო-სპორტულ ბაზებს. კლუბის მთელს საქმიანობაზე კონტროლს გასწევს სპორტსაზოგადოების საკავშირო და რესპუბლიკური ხელმძღვანელობა.

ახალი საფეხბურთო კლუბის დაფინანსება განხორციელდება მთელი წლის მანძილზე „დინამოს" უკრაინის საბჭოს ფინანსური გეგმის შესაბამისად.

### ჟურნალ „სმენის" პრიზზე

**დუშანბეში** დამთავრდა ჭაბუკ ფეხბურთელთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ჟურნალ „სმენის" პრიზზე. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირის მეორე ნაკრები და უნგრეთის გუნდი. თამაშის დამატებით დროში გატანილმა ერთადერთმა გოლმა გამარჯვება საბჭოთა ფეხბურთელებს მოუტანა.

ასევე დაძაბულად მიმდინარეობდა სსრ კავშირის პირველი გუნდისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთა მატჩი მესამე ადგილისთვის. გამარჯვება აქაც მასპინძლებს ხვდათ წილად — 3:1. ზემოჩამოთვლილთა გარდა ტურნირში მონაწილეობდნენ რუმინეთის, პოლონეთის, ფინეთის, რსფსრ-ისა და ტაჯიკეთის გუნდები.

# ვიდრე ახალგაზრდული თამაშები დაიწყება

**როგორც** ცნობილია, გაისად გაიმართება საკავშირო ახალგაზრდული თამაშები, რომელშიც გამოვლენ 21 წლამდე ასაკის სპორტსმენები. სწორედ ამ კონტინგენტის ჩოგბურთელებმა მოიყარეს თავი ამასწინათ ერევანში, სადაც ოთხი დღის განმავლობაში ქალაქის ღია პირველობა მიმდინარეობდა. სტარტზე სხვებთან ერთად ჩვენი რესპუბლიკის ჩოგბურთელებიც გამოდიოდნენ. — 7 გოგონა და 5 ჭაბუკი. ორივე ფინალი... „თბილისური" იყო, რადგანაც გადამწყვეტ მატჩებში ერთმანეთს სწორედ ჩვენი ქალაქის წარმომადგენლები შეხვდნენ: გოგონები ეკა თოხაძე და ვერონიკა კაპანაძე, ხოლო ჭაბუკებში — დავით კვარაცხელია და დიმიტრი ტერტერიანი.

უნდა ითქვას, რომ ორივე შეხვედრა საკმაოდ დაძაბული იყო და გამარჯვებული მხოლოდ მესამე პარტიებში გაირკვა. გოგონათა შორის გაიმარჯვა ე. თოხაძემ (4:6, 7:5, 6:1).

ჭაბუკთა შორის სიტუაცია თითქმის განმეორდა: ტერტერიანმა დათმო პირველი პარტია — 6:7, მომდევნო ორში კი ერთნაირი ანგარიშით გაიმარჯვა — 6:4, 6:4.

მესამე ადგილებზე გავიდნენ თბილისელი თეა მუჩაიძე და ერევნელი გრიგოლ გადახიანი.

**კარენ კირუჩიანი,**
**სპორტის ოსტატი.**

# პროფკავშირების თასზე

გრძელდება პროფკავშირების სპორტსაზოგადოების თასის გათამაშება ფეხბურთში II ლიგის გუნდებს შორის. გაგაცნობთ 5 და 8 მარტს გამართული ტურების შედეგებს, ჩვენი რესპუბლიკის გუნდების მონაწილეობით: „მერცხალი" (მახარაძე) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 3:0, „მეტალურგი" (რუსთავი) — „შევარდენი"-სპი — (თბილისი) 0:0, „დილა" (გორი)— „ტორპედო" (ქუთაისი) 2:1, „მერცხალი" (მახარაძე) — „კოლხეთი" (ფოთი) 2:1, „შევარდენი"-სპი — „დილა" (გორი) 2:0, „მეტალურგი" (რუსთავი) — „ტორპედო" (ქუთაისი) 4:1.



### „აიაქსის" ძნელი გამარჯვება

**3 მარტს** დანიშნული ევროპის საკლუბო ტურნირების პირველი მეოთხედფინალური შეხვედრა თასების მფლობელთა თასზე ჰოლანდიის „აიაქსსა" და შვეიცარიის „იანგ ბოიზს" შორის გაიმართა 10 მარტს. ჰოლანდიელმა ფეხბურთელებმა მეტოქის მინდორზე მხოლოდ უკიდურესად დაძაბული ბრძოლის შემდეგ შეძლეს გამარჯვების მოპოვება — 1:0, ეს ბურთი პირველი ტაიმის დასასრულს გაიტანა ბოსმანმა.

### უეფა-ს სანქციები

**ჟენევა.** ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირის სადისციპლინო კომიტეტმა ერთი მატჩით დისკვალიფიკაცია მისცა ცნობილ დაწიელ ფეხბურთელს პ. ელკიაერს, რომელიც იტალიის „ვერონაში" გამოდის.

როგორც უეფა-ს წარმომადგენელმა რ. ებერლემ განაცხადა, იტალიის „ვერონასა" და დასავლეთ გერმანიის „ვერდერის" უეფა-ს თასის პირველ მეოთხედფინალურ მატჩში პ. ელკიაერმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა „ვერდერის" მწვრთნელს ო. რეხაგელს, ამის გამო იგი მინდორზე ვერ გამოვა ამ გუნდების 16 მარტის საპასუხო შეხვედრაში.

უეფა-მ დააჯარიმა „ვერდერიც" იმის გამო, რომ ამ გუნდის გულშემატკივრებმა მატჩის დაწყებამდე სტადიონზე ფეიერვერკი მოაწყეს, ეს კი „სახიფათო საქციელად" ითვლება. „ვერდერმა" 2 ათასი შვეიცარიული ფრანკი უნდა გადაიხადოს.

### ტრიბუნაზე არ ეწევიან

საინტერესო სიახლეს მიმართა სიმფეროპოლის „ლოკომოტივის" სტადიონის დირექციამ. ამ სტადიონის საუკეთესო სექტორში გაიყიდა 1988 წლის საფეხბურთო სეზონის აბონემენტები, აქ მაყურებლებმა, მატჩის მსვლელობაში სიგარეტი არ უნდა მოსწიონ.

ადმინისტრაციამ ასეთი გადაწყვეტილება გამოიტანა სიმფეროპოლის ფეხბურთის მოყვარულთა კლუბის მოთხოვნით.

### პუშკაშის აზრით

წარსულში გამოჩენილმა უნგრელმა ფეხბურთელმა ფერენც პუშკაშმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ იმ მოთამაშეთაგან, რომლებიც მას უნახავს, ყველაზე კარგი მეკარე იყო დიულა გროშიჩი (უნგრეთი), ყველაზე უკეთესი განაპირა მცველი — ნილტონ სანტოსი (ბრაზილია), საუკეთესო ლიბერო — ფრანც ბეკენბაუერი (გფრ). შუა ხაზის უძლიერეს ფეხბურთელებად პუშკაშს მიაჩნია ნანდორ ჰიდეგკუტი (უნგრეთი) და ალფრედო დი სტეფანო (ესპანეთი), უძლიერეს გარემარბად — გარინჩა (ბრაზილია), უძლიერეს ცენტრალურ თავდამსხმელად — პელე (ბრაზილია).

აი, პუშკაშის მიერ შედგენილი მსოფლიო ნაკრებიც: გროშიჩი, ბეკენბაუერი, ანდრადე, ნ. სანტოსი, ბოჟიკი, მასოპუსტი, გარინჩა, ბ. ჩარლტონი, დი სტეფანო, პელე, ჰენტო.

# მოსწავლეთა პირველობაზე

დამთავრდა 1972 წლამდე დაბადებულ მოზარდ მოჭადრაკეთა თბილისის პირველობა.

ჭაბუკთა ტურნირში, რომელშიც 74 მონაწილე იყო და შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით 11 ტურად ჩატარდა, 9 ქულით I ადგილი და ჩემპიონის სახელი მოიპოვა ოსტატობის კანდიდატმა დიმიტრი ჯანგობეგოვმა (მწვრთნელი გიორგი მაჭარაშვილი). იგი საქართველოს პირველობის ფინალში არის დაშვებული. II ადგილზე 8,5 ქულით გავიდა ოსტატობის კანდიდატი მიხეილ კეკელიძე (მწვრთნელი ბაგრატ გვენცაძე). 8-8 ქულით III-VII ადგილები გაიყვეს ოსტატობის კანდიდატებმა კახა ხაბურზანიამ, ვალერი აკოფიანმა, ბექა კვარაცხელიამ, დავით დაბრუნდაშვილმა და ზაზა მეზვრიშვილმა. უკეთესი კოეფიციენტის გამო III ადგილი ხაბურზანიას (მწვრთნელი გიორგი მაჭარაშვილი) მიენიჭა.

ყველა ზემოთ ხსენებული მოჭადრაკე დაშვებულია თანატოლთა საქართველოს პირველობის ნახევარფინალში.

VIII-IX ადგილის მფლობელები დავით ხოსრუაშვილი და ზურაბ ქსოვრელი (7,5-7,5) ითამაშებენ საქართველოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში.

გოგონათა ტურნირში (ისიც შვეიცარიული სისტემით, 11 ტურად ჩატარდა) მონაწილეობდა 42 მოჭადრაკე. ძალზე კარგად ითამაშა 24-ე საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლემ, ოსტატობის კანდიდატმა ნატო ეძგვერაძემ (მწვრთნელი გიორგი ხომერიკი), რომელმაც წაუგებლად განვლო მთელი ტურნირი და 9,5 ქულით მოიპოვა I ადგილი.

გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა ოსტატობის კანდიდატი თამარ როჭიკაშვილი (მწვრთნელი ალექსანდრე იზვოზჩიკოვი). III ადგილზე (8,5 ქულით) გავიდა ოსტატობის კანდიდატი თამარ ფაჩულია (მწვრთნელი გია გრძელიშვილი).

IV ადგილზეა ნინო ლილუტი — 8, რუსუდან მაისურაძემ, მაია ლომინეიშვილმა და ია ფაჩულიამ 7-7 ქულა მოაგროვეს და V-VII ადგილები გაიყვეს.

ეს მოჭადრაკეები დაშვებულნი არიან საქართველოს პირველობის შესარჩევ ტურნირში.

**ვასილ დავითაძე.**

# შეჯიბრებამ ყველა გაახარა

**ცნობილია** თუ როგორი ალმზრდელობითი ძალა აქვს ორგანიზებულად ჩატარებულ სპორტულ ღონისძიებას, განსაკუთრებით კი მოსწავლეთა შორის.

ამ მხრივ მართლაც გამორჩეული იყო გორში ჩატარებული მოსწავლე გოგონათა 1988 წლის ზამთრის პირველი ჩემპიონატი მინიფეხბურთში.

შეჯიბრების პირველ ეტაპზე მონაწილეობა მიიღო ქალაქის ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლამ.

ფინალურ ტურნირში ბრძოლის უფლება მოიპოვეს მეათე, მეცამეტე, მეოთხე და მეხუთე სკოლების გუნდებმა. გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ X და V სკოლების წარმომადგენლები. საინტერესო და დაძაბულ ბრძოლაში ანგარიშით 3:0 გაიმარჯვეს მეათესკოლელებმა (სკოლის დირექტორი პაატა ქურდაძე, ფიზკულტურის მასწავლებლები ლიანა მინასიანი და ირინე ჯიოშვილი), მესამე ადგილი დაიკავა VIII სკოლის გუნდმა.

კარგად ჩატარებულმა შეჯიბრებამ ლამაზი და მიმზიდველი გახადა ჩვენთვის ჯერ კიდევ უჩვეულო გოგონათა პაექრობა.

გორში ამ ბოლო ხანს საინტერესო და შინაარსიანი გახდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა. საქმე ის არის, რომ ქალაქის განათლების განყოფილების მიერ წამოწყებული ყველა სპორტული ღონისძიების ჩატარებას ყოველთვის მხარს უჭერს და გვერდში უდგას კომკავშირის საქალაქო კომიტეტი, სპორტკომიტეტი (თავმჯდომარე ანზორ ქიბროწაშვილი), გორის ეკონომიკური ინსტიტუტის ფიზაღზრდის კათედრა, პროფკავშირების ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების საქალაქო საბჭო, ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლა, ფეხბურთის სკოლა. ასე იყო ამჯერადაც. მოსწავლეთა შორის ჩატარებული ეს ღონისძიება იყო იმის მაგალითი თუ რა შეუძლია ამ ორგანიზაციების ურთიერთობას, მხარდაჭერას, თანადგომას ახალგაზრდობის აღზრდის ამ მეტად მნიშვნელოვანი საშუალების განხორციელებაში.

**ბივი ხაჩიძე,**
**საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი, გორის ეკონომიკური ინსტიტუტის ფიზაღზრდის კათედრის გამგე.**

# მთავარი ჯილდოები გაიყვეს

**ჭაბუკი** ძიუდოისტები (1968 წელს და უფრო გვიან დაბადებულნი) ემზადებიან ქვეყნის ახალგაზრდული პირველობისთვის, რომელიც კიშინიოვში გაიმართება 15-20 მარტს. ახლახან სწორედ მოლდავეთის დედაქალაქმა უმასპინძლა „შრომითი რეზერვების" ძიუდოისტთა საკავშირო შეჯიბრებას, რომლის მიზანი იყო სპორტსაზოგადოების ნაკრები გუნდის დაკომპლექტება საკავშირო პირველობისათვის.

ორი პირველი და ორი მეორე ადგილი „ძმურად გაიყვეს" მძიმე წონის მოჭიდავეებმა, თბილისელმა ზაზა დაბრუნდაშვილმა და ზესტაფონელმა კობა გურეშიძემ. მძიმე წონის ფალავანთა შეჯიბრების ფინალში დაბრუნდაშვილმა მოუგო გურეშიძეს; ხოლო აბსოლუტურ წონაში როლები შეიცვალა — ამჯერად ჩემპიონი გურეშიძე გახდა.

საჩხერელი კახა წერეთელი (86 კგ), მეორე ადგილზე გავიდა, ხოლო ლენტეხელმა ზელიმხან გულბანმა (60 კგ), მამუკა მახათაძემ (60 კგ) და ბაკური თურმანიძემ (71, ორივე — ლაგოდეხი) მესამე ადგილები დაიკავეს.

გუნდურ ჩათვლაში ჩვენს მოჭიდავეებს მეორე ადგილი ხვდათ — მხოლოდ 3 ქულით ჩამორჩნენ რუსეთის ფედერაციის ნაკრებს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს გუნდს აკლდა რამდენიმე წამყვანი ფალავანი, რომლებიც ცალკე ემზადებიან საკავშირო პირველობისთვის. სულ ამ შეჯიბრებაში „შრომითი რეზერვების" საკავშირო ახალგაზრდული ნაკრების სახელით საქართველოს 11 მოჭიდავე გამოვა.

„შრომით რეზერვებში" ძიუდოს დიდი ტრადიცია არ გააჩნია. ჯერ კიდევ ორი წლის წინ არაფერი ვიცოდით ამ სპორტსაზოგადოების ძიუდოისტთა შესახებ. შემდეგ იქ სამუშაოდ მიიწვიეს ახალგაზრდა მწვრთნელთა სამეული: ვახტანგ კბილაშვილი (საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი), ვაჟა ბალხამიშვილი და გოჩა მაჭარაშვილი. მათმა შრომამ და მონდომებამ მოკლე ხანში რადიკალურად შეცვალა მდგომარეობა და ახლა სპორტსაზოგადოებას ძიუდოისტთა ძლიერი გუნდი ჰყავს.



## ჩოგბურთი — მოამბე

**ორლანდო (აშშ).** აქ მიმდინარე ჩოგბურთელ ვაჟთა დიდ საერთაშორისო ტურნირში წარმატებით გამოდის მოსკოველი ანდრეი ჩესნოკოვი, რომელმაც მეორე წრეში ცნობილი ეკვადორელი ჩოგბურთელი ანდრეს გომესი დაამარცხა — 3:6, 6:1, 6:3.

ამ დღის მთავარი სენსაცია მსოფლიოს მესამე ჩოგნის შვედ მატს ვილანდერის დამარცხება გახლდათ. მას აჯობა ნაკლებადცნობილმა ამერიკელმა ჯეი ბერგერმა 6:0, 7:5, მეოთხედფინალში გავიდნენ აგრეთვე ბორის ბეკერი (გფრ), მიროსლავ მეჩირჟი (ჩეხოსლოვაკია), მარტინ ჰაიტი (არგენტინა) და სხვები. გუშინ ცნობილი გახდა, რომ ჩესნოკოვმა მეოთხედფინალში ამოს მანსდორფს (ისრაელი) სძლია — 4:6, 6:2, 6:3.

# გიორგი ვარძელაშვილი



რესპუბლიკის სპორტულმა საზოგადოებრიობამ მძიმე და აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი და საკავშირო კატეგორიის მსაჯი, ომისა და შრომის ვეტერანი, სკკპ წევრი 1945 წლიდან, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი გიორგი ივანეს ძე ვარძელაშვილი. საზოგადოებრიობამ დაკარგა ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგის ღვაწლმოსილი მუშაკი, კლასიკური სტილის მოჭიდავეთა მრავალრიცხოვანმა არმიამ კი უნარიანი და საქმიანი მწვრთნელი, ახალგაზრდა თაობის გულისხმიერი აღმზრდელი.

გიორგი ვარძელაშვილის მთელი ცხოვრება (დაიბადა 1916 წლის 20 ივნისს) მჭიდროდ იყო დაკავშირებული სპორტთან. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა ფიზკულტურის ტექნიკუმში, მერე ინსტიტუტში. აქ მოუსწრო მას დიდმა სამამულო ომმა და როგორც ქვეყნის ღირსეულმა შვილმა სპორტული მაისური უმალ ჯარისკაცის ფარაჯაზე გაცვალა. სამი წლის მანძილზე იბრძოდა იგი სხვადასხვა ფრონტზე, ომის დამთავრების შემდეგ კი დემობილიზაციით დაბრუნებულმა ისევ საყვარელ საქმეს მიჰყო ხელი.

ერთხანს საშუალო სკოლებში ფიზკულტურის მასწავლებლად მუშაობდა, მერე კი მშობლიურ ინსტიტუტს დაუბრუნდა როგორც კათედრის მასწავლებელი. მაგრამ მისი მთავარი მოწოდება მუდამ კლასიკური ჭიდაობა იყო, რომლის ანბანს ცნობილმა ქართველმა მწვრთნელმა, ამ დარგის დიდმა სპეციალისტმა მიხეილ თიკანიძემ აზიარა. თვითონ გიორგის არაერთხელ უთქვამს: „საჭიდაო დარბაზში პირველად 1937 წელს მოვედი. ფიზკულტურის ტექნიკუმის მოსწავლეს ბედმა გამიღიმა, რომ ჩემს წვრთნა-დაოსტატებას ისეთმა დაკვირვებულმა და უნარიანმა მწვრთნელმა მოჰკიდა ხელი, როგორიც მიხეილ თიკანიძე გახლდათ. მან სულ რაღაც ერთ წელიწადში მაქცია მოჭიდავედ".

როდესაც მის მოწაფეებს ასახელებენ, პირველ რიგში, ცხადია, გივი კარტოზიაზე ჩერდებიან, ქართველ ფალავანთა შორის ყველაზე გამორჩეულ მოჭიდავეზე. გიორგი ვარძელაშვილმა აზიარა დიდ სპორტს 50-იანი წლების ერთ-ერთი საუკეთესო კლასიკოსი გოდერძი ჩიტიაშვილი, მერაბ და ელგუჯა ლუდუშაურები, გელა ჭელიძე, ოთარ ვალიევი, სხვები და სხვები.

მწვრთნელის ღვაწლზე ყველაზე ნათლად მისი აღზრდილების ცხოვრება მიგვანიშნებს. სწორედ ამიტომ ვამბობთ, რომ გიორგი ვარძელაშვილმა თავისი ვალი ცხოვრებაში პირნათლად მოიხადა. თუმცა... მას ჯერ კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლო.

**საქართველოს სპორტსახკომი, კლასიკური ჭიდაობის რესპუბლიკური ფედერაცია.**

# საჭირო წიგნი




ჩვენი მოზარდ თაობასთან მომუშავე პედაგოგები არ არიან განებივრებულნი სახელმძღვანელოებით. ვფიქრობთ, ეს ხარვეზი ნაწილობრივ შეივსო. ახლახან „განათლებამ" გამოსცა საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკის, შოთა სუხიშვილის წიგნი „ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა პიონერთა ბანაკში". სახელმძღვანელოში გაშუქებულია მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდის ამოცანები, პიონერთა ბანაკში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის შინაარსი, ფორმები და მეთოდები; მოცემულია მუშაობის დაგეგმვისა და აღრიცხვის ფორმები, დილის გამამხნევებელი ვარჯიშის სანიმუშო კომპლექსები, პირადი და საზოგადოებრივი ჰიგიენის მოთხოვნები, სამწყობრო, მძლეოსნური და სამხედრო-გამოყენებითი ვარჯიშები, ორგანიზმის გამოწრთობის საშუალებები, სპორტული შეჯიბრებებისა და ტურისტული ლაშქრობების ჩატარების ორგანიზაცია და მოძრავი თამაშები; აღწერილია სპორტული საღამოებისა და გამოსვლების მომზადება-ჩატარება, შეტანილია მშდ კომპლექსის მოთხოვნები და ნორმები.

წიგნის რედაქტორია საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კათედრის გამგე, დოცენტი აკაკი დოკვაძე.

უნდა შევნიშნოთ, რომ პოლიგრაფიული და ზოგიერთი ტექნიკური მხარისათვის, რომ უფრო მეტი ყურადღება მიექციათ, წიგნი უფრო მიმზიდველი და უკეთესი იერსახის იქნებოდა.

წიგნი, რომლის ღირებულება 70 კაპიკია, სარეალიზაციოდ უკვე მიიღეს სავაჭრო ქსელში.

# განაწილდა ყველა ადგილი

**ლენინგრადში** გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩები იმ გუნდების მონაწილეობით, რომლებიც IX-XII ადგილებისთვის იბრძოდნენ. ჯერ ტექნიკურ შედეგებს შემოგთავაზებთ.

„სტატიბა" (ვილნიუსი) — „კალევი" (ტალინი) 92:89, „სპარტაკი" (ლენინგრადი) — ასკ (კიევი) 82:71, ასკ — „სტატიბა" 83:86, „სპარტაკი" — „კალევი" 96:79, ასკ — „კალევი" 83:81, „სპარტაკი" — „სტატიბა" — 85:78.

გათამაშების ცხრილი საბოლოოდ ასე გამოიყურება:

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| „სტატიბა" | 18 | 12 | 6 | 30 |
| „კალევი" | 18 | 10 | 8 | 28 |
| „სპარტაკი" | 18 | 7 | 11 | 25 |
| ასკ | 18 | 7 | 11 | 25 |

გათამაშების დებულების თანახმად უმაღლეს ლიგას ავტომატურად ტოვებს კიევის არმიელთა კოლექტივი, რომელიც ჩემპიონატში ბოლო, მეთორმეტე ადგილზე გავიდა. მართალია „სპარტაკმა" და კიეველმა კალათბურთელებმა ტურნირი ერთნაირი შედეგებით დაამთავრეს, მაგრამ უპირატესობა ლენინგრადელებს მიენიჭათ, რომლებსაც ურთიერთშეხვედრებში უკეთესი მდგომარეობა აღმოაჩნდათ.

ჩვენი კალათბურთის ერთ-ერთი აღიარებული ლიდერი — ლენინგრადის „სპარტაკი", ისევე როგორც ტალინის „კალევი" უმაღლეს ლიგაში დარჩენის შანსს კიდევ ინარჩუნებენ. მათ, პირველ ლიგაში მეორე-მესამე ადგილებზე გასულ გუნდებთან ერთად უნდა იბრძოლონ გადასასვლელ ტურნირში.

## „სპორტპროგნოზი"

**მეცხრე ტირაჟის შედეგები**
**(27-28 თებერვალი)**

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტპროგნოზის" მეცხრე ტირაჟის შედეგები, რომელიც 1988 წლის 27-28 თებერვალს გაიმართა.

ტირაჟში დაშვებულია: 4.722.054 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (35) მოგებამ შეადგინა 2.023 მანეთი, 12 შედეგის გამოცნობისთვის (689) — 205 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (7.089) — 70 მანეთი.

მეცხრე ტირაჟის მოგებები გაიცემა 1988 წლის 24 მარტიდან 24 აპრილამდე.

**მეათე ტირაჟის შედეგები**
**(5-7 მარტი)**

1—2, 2—2, 3—2, 4—1, 5—2, 6—1, 7—1, 8—1, 9—X, 10—1, 11—1, 12—1, 13—X.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

# ბრძოლა „დიდი სლემისთვის"

**რეგბისტთა ხუთი ერის პირველობის ბოლომდე ერთი ტური დარჩა, მაგრამ ჩემპიონი უკვე ცნობილია. ესაა უელსის გუნდი, რომელმაც 1979 წლის შემდეგ პირველად, სულ კი 22-ედ, მოიპოვა საპატიო ტიტული.**



გასულ შაბათს უელსელები დუბლინის „ლენსდაუნ როუდის" სტადიონზე ირლანდიელებს ეთამაშებოდნენ. ეს იყო მეტოქეთა 91-ე შეხვედრა. ტაიმი მასპინძლებმა მოიგეს — 9:3, მაგრამ შესვენების შემდეგ უელსელებმა, რომლებსაც ძლიერი ზურგქარიც ეხმარებოდა, ადვილად გაუთანაბრეს ანგარიში. მატჩი თითქოს ფრედ უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ მეორე ტაიმის 42-ე წუთზე ირლანდიელი ბრადლი დაჯარიმდა და უელსელთა მცველმა სორბერნმა ზუსტად დაარტყა. მანვე მატჩის ბოლო წამებზე მასპინძელთა ფრიად მწვავე იერიშიც მოიგერია. საბოლოოდ გაიმარჯვეს უელსელებმა — 12:9 და მოიპოვეს „სამმაგი გვირგვინი" — სიმბოლური ჯილდო სამივე ბრიტანული ნაკრების (ინგლისის, შოტლანდიის, ირლანდიის) დამარცხებისთვის.

შოტლანდიელთა და ინგლისელთა მატჩიც ედინბურგის გარეუბან მერიფილდში ძლიერ ქარში მიმდინარეობდა. გუნდებს ჩემპიონობის მოპოვების შანსები დაკარგული ჰქონდათ. ამიტომ ძველი მეტოქეების 104-ე შეხვედრა ულიმღამოდ ჩატარდა. დამრტყმელებმა — შოტლანდიელმა ჰესტინგსმა და ინგლისელმა ვებმა — ორ-ორი საჯარიმო შეაგდეს, გარდა ამისა, სტუმართა გარე ნახევარმცველმა ენდრიუმ არეკნით გაიტანა ბურთი. გაიმარჯვეს ინგლისელებმა — 9:6 (0:0) და შეინარჩუნეს შარშან მოპოვებული „კალკუტის თასი" — გარდამავალი ჯილდო, რომელიც ინგლისისა და შოტლანდიის გუნდებს შორის უძლიერესს გადაეცემა.

ბოლო ტურის წინ უელსელებს 6 ქულა აქვთ, ფრანგებს — 4, ირლანდიელებსა და ინგლისელებს — 2-2. შოტლანდიელებმა 2 ქულით დაამთავრეს ასპარეზობა.

19 მარტს დასკვნითი მატჩებია: ინგლისი-ირლანდია, უელსი-საფრანგეთი. მოგების შემთხვევაში ფრანგები დაეწევიან უელსელებს და ისინიც ჩემპიონებად გამოცხადდებიან, მაგრამ თუ უელსელები გაიმარჯვებენ, ჩემპიონობასა და „სამმაგ გვირგვინს" კიდევ ერთ სიმბოლურ ჯილდოს — „დიდ სლემს" მიუმატებენ. შეგახსენებთ, რომ „დიდი სლემის" მოსაპოვებლად გუნდმა ოთხივე მეტოქე უნდა დაამარცხოს.

## „სპორტლოტო"

**მოსკოვში** ჩატარდა „სპორტლოტოს" მორიგი, მეათე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 45"-დან: 14, 20, 22, 32, 38, 43.

„სპორტლოტო 5 36"-დან: 10, 18, 21, 22, 23.

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**

ინდექსი 66435. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ. 29. უე 10676